საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/11538
14/11/2017

11538-09-2-2-201711141108

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამის
კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურში განხილული იქნა თქვენი 2017 წლის 8 ნოემბერის #3-109 წერილი, რომელიც ეხებოდა შ.პ.ს. „ვასაძის პურის“ მიერ წარმოებულ ვაფლში ტყვიის გადაჭარბებულ შემცველობას.

აღნიშნულის თაობაზე განგიმარტავთ, რომ პარტია არის ერთი სახეობისა და დასახელების სურსათის იდენტიფიცირებადი რაოდენობა, გამოშვებული ერთი და იმავე ბიზნესოპერატორის მიერ ერთი და იმავე ცვლის დროს და გაფორმებული ერთნაირი ეტიკეტით.

ნებისმიერი სახეობის სურსათის ნიმუშის აღება მოიცავს აუცილებელ პროცედურების განხორციელებას, მ.შ. პირველ რიგში: სურსათის იდენტიფიცირებას; მოცემულ ობიექტზე არსებული პარტიის იდენტიფიცირებასა და მისი რაოდენობის დადგენას ან/და დათვალიერებით გამოვლენილი სხვადასხვა დეფექტების იდენტიფიცირებას; კონკრეტული დასახელების საგამოცდო სურსათის შესაბამისი რაოდენობითა და წესით ნიმუშების აღებას (საჭიროების შემთხვევაში, წერტილოვანი ნიმუშების რიცხვის დადგენასა და მათგან საშუალო ნიმუშის ფორმირებას) და სხვა.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ვერ მოხერხდა პარტიის იდენტიფიცირება ვერცერთ წერტილში და ვერც ლაბორატორიული გამოცდის ოქმების შედეგად. კერძოდ:

სურსათის დასახელება სხვადასხვაა თქვენს მიერ წარმოდგენილი შპს „მულტიტეტისა“ და შპს „ეტალონის“ გამოცდის ოქმებში: შპს „მულტიტეტის“ 2017 წლის 16 ოქტომბრის #6246 გამოცდის ოქმში სურსათის დასახელებაა „ვაფლი სანდომი (სამარხვო)“, ხოლო, შპს „ეტალონის“ 2017 წლის 30 ოქტომბრის #2936 გამოცდის ოქმში კი „ვაფლი შოკოლადის“. ამდენად, სააგენტოსთვის გაურკვეველია ერთიდაიგივე სურსათზე, მ.შ. პარტიაზე განხორციელდა ლაბორატორიული ტესტირება 2 ლაბორატორიაში, თუ სხვადასხვაზე.

ვერც თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტოთი, სადაც მხოლოდ „კარფურის“ ე.წ. ეტიკეტია გამოსახული, ვერ მოხერხდა პარტიის იდენტიფიცირება. ამასთან, განგიმარტავთ, რომ ეტიკეტი არის

სურსათთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო, განთავსებული შეფუთვაზე ან/და მასთან დაკავშირებულ თანდართულ დოკუმენტზე. ეტიკეტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მომხმარებლისთვის. თქვენს მიერ ადგილზე უნდა განხორციელებულიყო თუნდაც დაუფასოებელი სურსათის ეტიკეტის მიხედვით პარტიის იდენტიფიცირება, რომლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები (შპს „ეტალონის“ საგამოცდო ლაბორატორიის) გავრცელდებოდა კონკრეტული დასახელების სურსათის მთელ პარტიაზე და სააგენტოს მიეცემოდა სათანადო ზომების მიღების საშუალება, მ.შ. სურსათის ბაზარზე მისი განთავსების შეზღუდვისათვის/აკრძალვისათვის ან ბაზრიდან მისი ამოღებისათვის გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, იმის მიუხედავად, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იდენტიფიცირებისთვის არ იყო საკმარისი , სააგენტომ განახორციელა დამატებითი ღონისძიებები. კერძოდ, ჩაატარა არაგეგმური ინსპექტირება და შპს „ვასაძის პურის“ მიერ წარმოებული ყველა დასახელების ვაფლის ლაბორატორიული კვლევა ტყვიის შემცველობაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2017 წლის 24 იანვრის 2-14 ბრძანებით დამტკიცებული „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის“ პროგრამის ფარგლებში.

შ.პ.ს. „ეტალონის“ საგამოცდო ლაბორატორიის 2017 წლის 7 ნოემბრის გამოცდის ოქმების (##2994; 2995 და 2996) თანახმად, სამივე დასახელების ვაფლის ნიმუშში ტყვიის რაოდენობა არ აღემატება დასაშვებ ნორმას (დანართი-ლაბორატორიული კვლევის შედეგები).

ასევე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოწოდებული შპს „მულტიტესტის“ გამოცდის ოქმში გამოვლენილი სანიტარულ-მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დარღვევის გამო, ჩვენი ზედამხედველობით, მეწარმის მიერ აღებული და განხორციელებული იქნა ნიმუშების კვლევა მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზეც. შპს „გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო ლაბორატორიის“ 2017 წლის 7 ნოემბრის #2255 გამოცდის ოქმის თანახმად, გამოსაკვლევი მაჩვენებლები (მაფანმრ, ობისა და საფუარის სოკო) შეესაბამება ქვეყანაში დღეისათვის მოქმედ ნორმატივებს (იხ. დანართი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს ნებისმიერი ქმედება განხორციელდა ოპერატიულად, სრულყოფილად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ვასილ ბასილაძე

სამსახურის უფროსი